ცნობის ფურცელი

№ 1841 სამშაბათი, 18 ივნისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1841

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა

ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის აზნაურ-მაზრის სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გალუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ.** (45—39)

რედაქციისაგან

გავახსენებთ „ცნ. ფურცლის“ და ჟურნალ „მოამბის“ ხელის მომწერთ, რომ დააჩქარონ ხვედრი ფულის გამოგზავნა, წინაალმდეგ შემთხვევაში 1 ივლისიდან გაზეთ-ჟურნალი აღარ გაეგზავნებათ მათ, ვინც არ შემოიტანს ხვედრ ფულს.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ა. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი და ნერვებისა სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

გრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ნ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.-ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდის, საღამოთი 7—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ.)

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

ბორჯომში

ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^1/_2$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდ-ე მიიღებს აგრეთვე საქიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ქ. სიღნაღში

კიევის უნივერსიტეტის ბავშთა კლინიკის ასსისტენტი

ექიმი

ა. ი. ბალარჯიშვილი

მიიღებს ზაფხულის განმავლობაში 20 აგვისტომდე ბავშვთა და შინაგან სენით შეპყრობილ ავადმყოფთ. (15—8)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ბებია

ვ. მ. ლიმონი

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—18)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ახალი წიგნი

ფიზიოლოგია

დ-რი ფოსტერისა

სურათებით

ფასი 25 კ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ახლანდელ რადიკალურ სამინისტროს პროგრამის ერთი უმთავრესი მუხლი კლერიკალებთან ბრძოლაა. ტყუილად არ იმეორებენ ხოლმე გამბეტას ნათქვამ სიტყვებს: კლერიკალიზმი—აი ჩვენი მტერიო. რეაქციონერები თავის მხრივ ცდილობენ ქვეყანას დაუმტკიცონ, რომ კათოლიციზმის შიში ფანტაზიის ნაყოფიაო. სასულიერო წოდებასთან ბრძოლას ის მოჰყვება, რომ თქვენ მას გააბრაზებთ და გლეხებს, რომელნიც სასულიერო წოდებას პატივსა სცემენ, რესპუბლიკის მტრად გახდითო. მაგრამ ეს საბუთები კარგა ხანია ესმის რესპუბლიკელ საფრანგეთს. მან კარგად იცის, რომ უმთავრესი ძალა რეაქციისა სოფელში თუ ქალაქში სასულიერო წოდებაა. ჯერ-ჯერობით ახალ სამინისტროს ბევრი არაფერი ზომები მიუღია კლერიკალების წინაალმდეგ და მალე გამოჩნდება, რამდენად მართალია მისი გადაწყვეტილება. ერთად-ერთი ის იყო, რომ ათიოდე მღვდელს ჯამაგირი დაუჭირეს საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღების გამო.

დეპუტატთა პალატაში ფრიად საინტერესო სჯა გამოიწვია სამბას და პრესანსეს შეკითხვამ ესპანიელ რესპუბლიკელ დეპუტატების შესახებ, რომელნიც წარსულ აპრილში მოვიდნენ პარიზში. მაგრამ იძულებულნი შეიქნენ საფრანგეთის ტერრიტორია დაეტოვებინათ. სოციალისტ სამბას სიტყვით, საქმე ასე ყოფილა. რამდენსამე ესპანელ და ფრანგთა პოლიტიკურ მოღვაწეებს გადაუწყვეტიათ მოსალაპარაკებლად გაემართათ პარიზში შეკრება. მაგრამ როდესაც ესპანიელი დეპუტატები მოსულან, მათთვის მიტინგის ნება არ მიუციათ, თუმცა,—სთქვა სამბამ,—ესპანიელ დეპუტატებს სრულიად აზრად არა ჰქონიათ რამე შეთქმულობა ესპანიის წინაალმდეგაო. თუ ესპანიელი რესპუბლიკელი დეპუტატები იბრძვიან კლერიკალიზმის და სამხედრო პარტიის წინაალმდეგ, მაშინ ისინი ყოველი თანაგრძნობის ღირსნი არიანო. როგორ მოეპყრობა კომბის სამინისტრო, ესპანიელი დეპუტატები რომ კვლავ მოვიდნენ პარიზშიო? სამბას პასუხი გასცა თვით კომბმა და სთქვა, რომ სულ მთლად მართალი არ არის, ვითომც მიტინგი აეკრძალოთო. ვალდეკ-რუსსოს კაბინეტმა მხოლოდ მოაგონა, რომ უმჯობესი იქნება მაგ გვარ კრებას არ მოახდენდეთ, რადგან საფრანგეთს საერთაშორისო მოვალეობანი აქვს, რომელნიც იძულებულია აასრულოსო. ამ პასუხის შემდეგ ილაპარაკა ახალმა დეპუტატმა, პრესსანსემ. მის სიტყვას ყურადღებით ისმენდნენ, რადგან იგი პირველად ლაპარაკობდა პარლამენტში. მან გამოაცხადა, რომ ვალდეკ-რუსოს სამინისტროს არ უნდა ეკისრა „ესპანიის ჟანდარმის“ როლიო. ესპანიელ დეპუტატებს ორგვარი საფუძველი ჰქონდათ, რომ საფრანგეთის რესპუბლიკელი მთავრობა ნეიტრალიტეტს დაიკავებდა მათ შესახებო. ისინი იყვნენ ესპანიელი ხალხის წარმომადგენელნი და რესპუბლიკელნიო. ისინი აღიარებენ დიდებულ პრინციპებს, რომელნიც საფუძვლად დაედო ჩვენის ახალი დროის კონსტიტუციას და დიდის ხნის განმავლობაში სახელი იყო დემოკრატიულ საფრანგეთისაო. საფრანგეთის მთავრობამ ამგვარი მიღებით მათ შორის გამოიწვია სრულიად კანონიერი განცვიფრება და გულის წყრომაო.

საფრანგეთმა სტუმართ მიღება უნდა ისწავლოს ინგლისის, ბელგიის და თვით ესპანიისაგანაო.

კომბს სურდა უბრალო წესის გამოცხადების ფორმულა მიეღო, მაგრამ მემარცხენეებთან მოლაპარაკების შემდეგ ასეთ ფორმულაზე დათანხმდა: მიიღო რა მხედველობაში მთავრობის დაპირება საფრანგეთის ტრადიციულ სტუმართ-მოყვარეობის დაცვის შესახებ, პალატა უბრუნდება მორიგ საქმეებს.

სენატში შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა როლანმა, მის მიერ წარმოდგენილ სამხედრო კანონ-პროექტის დასაცავად. საფრანგეთს,—სთქვა როლანმა,—შეცდომა მოუვიდა, რომ 1870 წლის შემდეგ პირდაპირ არ გადავიდა ორწლიან სამხედრო ბეგარაზეო. ამის მაგიერ სამი წლის ვადიანი ბეგარა დააარსეს და თანაც ერთი წლის ვადიანი მათთვის, ვისაც განათლების ან საოჯახო პირობების გამო უპირატესობა ჰქონდაო. ამით დაირღვა სამხედრო ორგანიზაციის ერთიანობა და მთლიანობა. გარდა ამისა, არსებული სისტემის წყალობით სალდათების ერთი მესამედი და ხან ნახევარი ფაქტიურად მონაწილეობას არ იღებს სამსახურში, ასე რომ რიცხვითი რაოდენობა საფრანგეთის არმიისა ნამდვილად ის არ არის, როგორც ქაღალდზეა აღნიშნული. ახლა ჩვენ პირველად გიდგენთ ახალ კანონს, რომელიც შესაფერ ნიადაგზე დააყენებს სამხედრო ორგანიზაციას. ჩვენ გვსურს იმას მივაღწიოთ, რომ სამხედრო სამსახურს საფუძვლად მოვალეობის თანასწორობა დაედოს, გვსურს მოვსპოთ გარდა ყოველგვარი უპირატესობისა, თვით ჯარში სამსახურის თავიდან აცილება. პროექტის წინაალმდეგ ბევრია სათქმელი, მაგრამ ჩვენ პასუხი წინ-და-წინ გვაქვს მოფიქრებული. ჯარის შემცირება? რიცხვი თითქმის იგივე დარჩება, და თუ ცოტა დააკლდება, შეგვიძლია მოვიწვიოთ მსურველნი განმეორებით სამსახურში და ამით შევავსოთ. დაბალ კადრებს იტყვით? მაგრამ ჩვენი პროექტი მათ სრულებით არას ავნებს. სამხედრო გრძნობის აღზრდა? სიმამაცე, მოვალეობის გრძნობა, უფროსთა პატივი, სამშობლოს ერთგულება,—ყოველი ესე სამოქალაქო თვისებანი არიან. ყველაზე უკეთ ეს გრძნობანი აღიზრდებიან ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში. ჯარი—კარგი სკოლაა, მაგრამ არა ერთად ერთი.

იტალია. იტალიის გარეშე საქმეთა სამინისტროს უმცროს სტატს-სეკრეტარს ალფერდ ბაჩელლის იტალიის ყველა წარმომადგენელთათვის ცირკულიარი გაუგზავნია, რომელშიაც უბრძანებს, არ მიიღონ არავითარი მოწვევა კონგრესებისაგან, თუ იტალიურ ენას ფრანგულ ენასთან თანასწორ უფლებას არ მიანიჭებენ დებატების დროსო. ამ განკარგულებას ისე უყურებენ, როგორც პირველ ნაჯიბს საფრანგეთის გონებრივ პირობის მოსასპობად რომანელ სახელმწიფოთა შორის.

ბელგია. სოციალისტებმა გადასწყვიტეს მოახდინონ 15 აგვისტოს გრენინგში მანიფესტაცია „ოქროს დეზებიანებთან“ ბრძოლის მოსაგონებლად. ამ მანიფესტაციას არაფერი მტრული ხასიათი არ ექნება და საფრანგეთის წინაალმდეგ არ არის მიმართულიო,—ამბობენ მოთავეები; მისი აზრი ინტერნაციონალურიაო. ბელგიელი დეპუტატები ანსელი და დემბლონი წარმოსთქვამენ სიტყვას. გედი და ჟორესი მიწვეულნი არიან.

ამ ბრძოლაში გაიმარჯვეს ფლამანდიის კომუნებმა და საშინლად დაამარცხეს საფრანგეთის ჯარი 1302 წელს.

ჰოლანდია. ჰოლანდიელებს არ მოსწონთ ინგლისის გამარჯვება სამხრეთ-აფრიკაში. მათის შეხედულებით, ახლა ჰოლანდიელებს ცუდი დღე დაადგებათ ევროპაშიაც. პროფესორი დე-გუშერი ჰბეჭდავს წერილებს ომის შედეგის შესახებ და ამტკიცებს, რომ ინგლისის გამარჯვება ნამდვილი უბედურება ჰოლანდიის ერისათვისო. ჰოლანდიის კაპიტალმა, ვაჭრობა-მრეწველობამ, მეცნიერება-ლიტერატურამ და ხელოვნებამ—ყველაფერმა ვრცელი ადგილი დაიჭირა სამხ-

რეთ-აფრიკაში; ხოლო ამიერიდან, რაკი ბურების ორი რესპუბლიკა პოლიტიკურად მოსპო, ინგლისელები ეცდებიან ყოველივე ჰოლანდიური გამოსდევნონ აფრიკიდან და ამით დიდ ვნებას მოუტანენ ჰოლანდიელთაო. დასასრულ პროფესორი ამბობს: ისტორიამ კარგი გაკვეთილი მოგვცა და ამიერიდან აღარ უნდა გვჯეროდეს მაღალი ფრაზები ადამიანთა და ერთა უფლებების შესახებ; ყველანი სტყუიან და ერთმანეთის ჩაყლაპვას ჰლამობენ; ამიტომ უნდა გვახსოვდეს მხოლოდ შემდეგი: მოვა დღე, როდესაც ჰოლანდიასაც დასჭირდება იარაღით თავის დამოუკიდებლობის დაცვა და ამ დღისათვის მზად უნდა ვიყვნეთ!

ახალი ამბავი

✦ შაბათს, 15 ივნისს, **საქართველოს ექსარხოსი** ალექსი საზაფხულოდ უკვე წავიდა მარტყოფის მონასტერში. ექსარხოსი მონასტრიდან დაბრუნდება ტფილისში 19 ივნისს, რათა 20 ივნისს აკურთხონ ვერაზე სემინარიის ახალი შენობის საძირკველი.

✦ მკითხველება უკვე უწყიან, რომ **ეპისკოპოსმა კირიონმა** სთხოვა უმაღლეს სასულიერო მთავრობას, გაანთავისუფლონ იგი სამსახურისაგან. როგორც შევიტყეთ, უმაღლესმა მთავრობამ საქართველოს ეგზარხოსს მოსთხოვა თავისი მოსაზრება ამ საქმის შხებესა.

✦ ვაჟთა მესამე **გიმნაზიის** საპედაგოგიო საბჭომ დაადგინა, ფულით შემწეობა აღმოუჩინოს 8 კაცს, რომელთაც წელს გაათავეს ამ გიმნაზიაში სწავლა. თითოს მიეცემა 159 მან. 50 კ.

✦ ხუთშაბათს, 20 ივნისს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში **სხდომა ექნება** ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოუგზავნა ამიერ-კავკასიის გუბერნატორებს თავიანთ აზრის გამოსათქმელად სამინისტროს მიერ შემუშავებული **პროექტი სულით-ავადმყოფთა მოვლა-პატრონობისა.** დღეს უსახსრობისა გამო ნაკლები ყურადღება ექცევა ამ ავადმყოფებს. ახალის პროექტით, უნდა დაარსდეს განსაკუთრებული სამკურნალოები სულით-ავადმყოფთათვის. შესანახი ხარჯი უნდა გაიღონ ქალაქისა და ერობის თვითმმართველობებმა.

✦ **„ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას“** წელს ახლად მიღებულთა გარდა ჰყავს 800 წევრამდე, რომელთაგან საწევრო ფული წარუდგენია საზოგადოებისათვის მხოლოდ 30 კაცს. ამის გამო, გამგეობის განკარგულებით, საზოგადოების მდივანმა ამ დღეებში ბარათები დაუგზავნა წევრებს და მოაგონა, წარუდგინონ საზოგადოებას საწევრო ფული.

✦ **გორიდან გვატყობინებენ** მდინარე ლიახვი გადმოვიდა კალაპოტიდან და გორის ერთი ნაწილი წალეკა. ქალაქში წყალი ისე მოულოდნელად შემოვარდა, რომ ბევრს სახლში მოასწრო. აივსო წყლით სარდაფები. ეს ამბავი გორის მაზრის უფროსმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომელიც 13 ივნისს წავიდა გორში. გუბერნატორის განკარგულებით გამოუწვევიათ 5 სოფლის მცხოვრებნი, რომელნიც 12 ივნისიდან შესდგომიან ლიახვის ნაპირების გამაგრებას.

✦ გუშინ, 17 ივნისს, ნაშუადღევის $1^{1}/_{2}$ საათზე, პუშკინის ქუჩაზე, ტფილისის საკრედიტო საზოგადოებასთან **შემდეგი ამბავი მოხდა.** ნავთის გამყიდველ საზოგადოების „სვეტის“ წარმომადგენელს ტურნიდუ აგასის ძე ვლასოვს ტფილისის საკრედიტო საზოგადოების კასსიდან მიეღო 3,000 მან. როდესაც ვლასოვი ჩამოსულა კიბეზე და ქუჩაში აპირებდა გასვლას, დაჰხვედრია წინ ჩერქეზულ ტანისამოსში გამოწყობილი სამი კაცი. ორს უტაცნია ხელი ვლასოვისთვის, ხოლო მესამეს უძვრია ჯიბიდან ჩაქუჩი და სამჯელ თუ ოთხჯერ დაურტყამს თავში. წაქცეულ ვლასოვისთვის ბოროტ-მოქმედთ დაუწყიათ ჯიბეებში ხელის ფათური და ამოუცლიათ საკრედიტო საზოგადოებაში მიღებული ფული. ვლასოვის ყვირილზე მაღლიდან მისაშველებლად ჩასულან საკრედიტო საზოგადოების მოსამსახურენი. როდესაც ბოროტ-მოქმედთ სხვებიც დაუნახავთ, მიუტოვებიათ დაჭრილი, გამოცვივნულან გარეთ, ჩაუხვევიათ იქვე გვერდზე მყოფ მჭედლიშვილის ღვინის სარდაფში, მეორე კარებიდან გასულან და სადღაც მიმალულან. კარგა ხნის ხმაურობის შემდეგ პოლიციელნიც გაჩნდნენ და ბოროტ მომქმედთა ძებნას შეუდგნენ, მაგრამ ვერავითარს კვალს ვერ მიაგნეს. პოლიციელს ტერსააკოვს ეჭვი მიუტანია თავის ნაცნობებზედ, რომელნიც წინადაც შენიშნულნი ყოფილან. როგორც მნახველთ განაცხადეს, ორი ბოროტ-მოქმედი ჩერქესკაში გამოწყობილი ყოფილა, ხოლო ერთი, რომელსაც ჩაქუჩი დაურტყამს ვლასოვისათვის,—ევროპიულ ტანისამოსში. ჩაქუჩი ისე მაგრა დაურტყამს რამდენსამე ადგილას თავში, რომ ვლასოვი იქვე მარკოზოვის სამკურნალოში გადაიტანეს, სადაც ექიმები დიდხანს მოუნდნენ სისხლის შეჩერებას. როგორც ეტყობა, ბოროტ-მოქმედთ წინდაწინვე სცოდნიათ, რომ ამ დღეს ვლასოვი საკრედიტო საზოგადოებიდან ფულს მიიღებდა.

✦ კვირას, 16 ივნისს, გორის მაზრის სოფელ ნიქოზში საზაფხულოდ წავიდა **ეპისკოპოსი კირიონი.**

✦ **ტფილისის საფერშლო სკოლაში** სწავლა 12 კაცმა გაათავა. რვა ქართველია, ორი რუსი, ერთი ბერძენი და ერთიც უდინი. ქართველების გვარები: ა. ჯაფარიძე, დ. ჯაფარიძე, ფ. ჭინჭარაძე, ს. მგელაძე, გ. ნემსაძე, ნ. რამიშვილი, დ. ქიაბერაშვილი და ვ. ჩიხიანი.

✦ რამდენმამე ხმოსანმა გადასწყვიტა, წინადადება შეიტანონ ქალაქის საბჭოში 5800 მანეთის გადადების შესახებ **ღრმა-ღელის მცხოვრებლების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.** ამ ჟამად აქ მარტო ქალაქის ადგილებზედ 1300 სულამდე სცხოვრობს. ახალ უბანში არც წყალია, არც გზები და არც სხვა მოწყობილება, რის გამოც მკვიდრნი დიდ გაჭირვებაში არიან ჩაცვივნულნი.

✦ **საარჩევნო აგიტაცია** მიყუჩდა ტფილისში. ამომრჩეველთა მიერ არჩეულმა კომიტეტებმა გადასწყვიტეს საქმე სექტემბრამდე გადასდონ. აზრადა აქვთ ამ თვეში მოახდინონ კრებები საარჩევნო სიებისა და პროგრამების შესადგენად.

✦ ყაზბეგიდან გვატყობინებენ, რომ იქ **ნიაღვრებს გზა-ტკეცილი წაუხდენია.** ყაზბეგის მახლობლად ისეა გზა წახდენილი, რომ მგზავრებს ქვეითად შეუძლიანთ მხოლოდ გასვლა.

✦ ტფილისში ჩამოვიდა **ორი ჯგუფი** მოსწავლეთა, ერთი მასწავლებელ ანდრონიკოვის მეთაურობით კოსტრომის გიმნაზიის მოსწავლენი არიან სულ 20 კაცი, მეორე სმოლენსკის გიმნაზიის მოსწავლენი, 13 კაცი. ამ უკანასკნელთ კავკავიდან ტფილისამდე ფეხით უმოგზაურნიათ.

✦ სიცხეებისა გამო ქალაქში **დიდი ნაკლულევანება წყლისა.** მცხოვრებნი ან უწყლოთ არიან, ან 30 კაპეიკს იძლევიან თითო ბოჭკა წყალში. ქუჩები ხომ სულ არ ირწყვება. გამგეობის განკარგულებით ქუჩები მტკვრიდან მოტანილ წყლით უნდა რწყან, მაგრამ ამ განკარგულებას არ ასრულებენ და ძალიან ხშირად მილის წყალს ხმარობენ. საყურადღებოა ისიც, რომ გამგეობამ ამ რამდენისამე ხნის წინად თავის წევრს ბ-ნ ენფიაჯიანცს მიანდო ციციანოვისა, სურპ-კარაპეტისა და სხვა წყაროების გამოკვლევა, რათა იქიდან წყალი გამოეყვანათ ქუჩების მოსარწყავად, ამასთან ვადათ პირველი ივნისი დაუნიშნა, მაგრამ ბ-ნ ენფიანჯიანცს დღემდე არ უფიქრია ამ საქმეზედ.

✦ სასანიტარო ექიმებმა უვარგისად სცნეს ტფილისში მოტანილი **ოთხი ვაგონი ფქვილი.** 2000 ფუთი ამ ფქვილისა გამოგზავნილია კიევიდან ბროდსკის მიერ. როგორც ეტყობა, ვაჭართ ტფილისი უვარგის ფქვილის გასასაღებელ ბაზრად უცვნიათ. შარშანაც იყო ასეთი შემთხვევა: უვარგისი გამოდგა დიდძალი ფქვილი, გამოგზავნილი რუსეთიდან ვიღაც სკვორცოვის მიერ, რომელიც ამისათვის პასუხის გებაში მისცეს.

✦ **ცოფით ანაცრელ პასტერის სადგურს** პროვინციიდან დიდ-ძალი ხალხი აწყდება. ავადმყოფთა მიღების დროდ გამოცხადებულია დილის 9 სათი, მაგრამ ხშირად 10 და 11 საათამდე უხდებათ ცდა. ავადმყოფებისათვის მეტად ძნელია 2—3 საათი ცდა, ამიტომ, კარგი იქნება, დანიშნულ დროს არ გადააცილონ ხოლმე.

✦ ნიგოითიდან „კვალს“ სწერენ შემდეგ **საყურადღებო ამბავს:** ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იყო დღემდის ნიგოითის უფასო სამკითხველო, რადგანაც ისეთი საქმის მეთაური არა ჰყავდა, რომელსაც უნდა ეზრუნა მის კეთილ-დღეობაზე, ამიტომაც ხშირათ გვესმოდა—აი ახლა უნდა დაიხუროს და აი ახლაო, მაგრამ როგორც იქნა, ზოგიერთ პატივსაცემ პირთა შემწეობით სული მოიტანა დღემდის, ახლა კი ნიგოითის საზოგადო კრებამ განაჩენი დაადგინა: «ყოველმა მოსახლემ წლიურათ სამკითხველოს სასარგებლოთ იხადოს ორ-ორი შაური“. თუმცა ეს ფული დიდ ვერაფერ თანხას ადგენს, სულ რაღაც ოცდა ხუთმეტ მანეთამდის შეგროვდება, მაგრამ მაინც კარგია, ეს ცოტა თანხაც ერთ-ერთ მხრიდან უზრუნველ ჰყოფს სამკითხველოს და მეორეც ისა, რომ საზოგადოება მონაწილეობას ღებულობს მის შენახვაში და ძალა უნებურათ ეცდება ისარგებლოს კიდეც მითი.

✦ მოგვივიდა ჟურნალ „მოგზაური“-ს მე-VI ნომერი, რომელშიაც დაბეჭდილია:

თანამედროვე ისტორიის ტენდენციები, ალ. მდ—ნისა. მთიულთ ცხოვრებიდამ, ე. გუგუშვილისა. სვანეთი, მღვდ. ი. მარგიანისა. კლარჯეთ-მესხეთის აღწერა, ზ. ჭ.—ძისა. მოკლე ისტორია სომხეთისა, თარგ. მ. ჩოგოვაძისა. კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი და მისი გვარის შტო, ზ. ჭ.—ძისა. ბიბლიოგრაფია: სალიტერატურო ქართული (სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა), ი. აბულაძისა.

✦ მოგვივიდა ივ. როსტომაშვილის გამოცემა „გამოსადეგი ცნობანი“ წიგნი მეექვსე.

✦ ტფილისის მაზრის უფროსის ბრძანებით, ამ ახლო მომავალში შეუდგებიან საგარეჯოს სოფლის სამკურნალოს შენობის შეკეთებას. დროებით სამკურნალო გადატანილ იქმნება სასოფლო გამგეობის ახალს შენობაში.

✦ ტფილისის საკომერციო სასწავლებელში თავისუფალი ვაკანსიები არის მხოლოდ სასწავლებლის ორს უმცროსს მოსამზადებელ განყოფილებაში. თითო განყოფილებაში 40 ადგილია. ამ კლასებში მიიღებენ უეგზამენოდ 7 წლის ყმაწვილებს.

✦ ტფილისის თავშესაფარების გამგეობისაგან ქალაქის გამგეობაში წარდგენილ ცნობებიდანა სჩანს, რომ თავშესაფარებით 1899 წლიდან 1901 წლის პირველ იანვრამდე უსარგებლნიათ: რუსებს მამაკაცს 18,768-ჯერ, დედაკაცს 1350, სომხებს მამაკაცს 14,227 და დედაკაცს 3725, ქართველებს 3,994 მამაკაცს და 126 დედაკაცს, სპარსელებს მამაკაცებს 21 და სხვა-და-სხვა ტომისას 1838 კაცს; სულ 39,391-ჯერ მამაკაცს და 5237 დედაკაცს.

✦ პოლიციის მიერ შეკრებილ ცნობებით, ვარშამოვს, რომლის ბაგიც ამას წინად დაიწვა, სულ 62,000 მანეთის ზარალი მოსვლია, ხოლო მდგმურებსა და დუქნების პატრონებს—2500 მანეთამდე.

✦ გრიბოედოვის ქუჩის მცხოვრებთ სთხოვეს ქალაქის გამგეობას იმათის ხარჯით შეაკეთონ ქუჩა.

✦ 23 მაისიდან 1 ივნისამდე ტფილისში გადამდებ სენით ავად გამხდარა: ყელის ჭირვებით 2, წითელათი 2, წითელი ქარით 1 და დიფტერიტით 4.

✦ პოლიციის მე-7 ნაწილში 14 ივნისს არტემ ტერ-გრიქუროვმა განაცხადა, რომ ჩემ მწყემსს მიხეილ თვალჭრელიძეს თავს დაეცა სამი ვიღაც თათარი, რომელთაც თოკით შეჰკრეს თვალჭრელიძე, შემდეგ ორი ცხენი მოიტაცეს და სადღაც მიიმალნენო. ქურდების აღმოსაჩენად ზომებია მიღებული.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრების 5 ივნისის გადაწყვეტილება სათავად-აზნაურო სკოლის მას-

ფელეტონი

ღალატი?

(რონისა)

I

მძაგს ცოლქმრობაში ღალატი, რადგანაც მას ყოველთვის თან ახლავს სიფრთხილე, საზიზღარი სიცრუე და ჭუჭყით სავსე სულმდაბლობა. მაგრამ ჩემ სინიდისზე ერთი თავისებური და სამართლიანი ღალატია. ვგონებ, ეს უმშვენიერესი ფურცელია ჩემი სიყვარულის წიგნისა,—ერთად-ერთი, რომელსაც სრულის კმაყოფილებით ვკითხულობ, და რომელსაც სინანული არ ჩრდილავს, სიმწარის კვალი არ აჩნდება, რაც აგრე ხშირად სდევს ჩვენ უმშვენიერესს მოგონებათ.

ერთხელ დავთანხმდი, რომ ხუთმეტიოდე დღე გამეტარებინა ერთ ჯუჯა რომაელ გრაფთან, რომელიც, არავინ იცის რად, სცდილობდა ფილოსოფოსებთან ყოფნას. უსიამოვნოდ გავემგზავრე გრაფის სასახლისკენ, რათა ამესრულებინა პირობა. მაგრამ არ მინანია, რადგანაც ის კუთხე სათაყვანებელი გამოდგა; ის იყო—ძველ კელტთა ქვეყანა, სადაც სამი ათასი წლის განმავლობაში სამღვთო მუხათა რამდენიმე თაობა იზრდებოდა, სადაც შეგხვდებოდათ უზარ-მაზარი კარვები და საუცხოვო ხეივნები. ამგვარ ადგილას მოსვლა ჩემთვის ხელთ საყრელი იყო, რადგანაც ამ დროს ისტორიის წინა დროის ერთ ისტორიულ მოვლენას ვიკვლევდი. ამის გარდა, რომაელ გრაფს ჰყვანდა ისეთი აღმაფრთოვანებელი ახალგაზდა ცოლი, რომ სამი დღით მის სიახლოვეს ცხოვრება დააჯილდოვებდა ყოველ-გვარ უსიამოვნებას. ამას წმიდის აზრით ვამბობ: რაც უნდა ნაკლებად პატივის მცემელი ვყოფილიყავ ჩემი მასპინძლისა, ჩემ თავს შევიძულებდი, რომ ღალატი ფიქრადაც კი გამევლო. ამის და მიუხედავად მშვენიერი ქმნილების ჯადო არა ნაკლებად ჰმოქმედობდა ჩემ სულსა და სხეულზე და დღისა და საღამოს საათებს მიმსუმბუქებდა.

II

რვა დღემ განვლო. ნაღვლიანად დავუწყე მზერა ჩემ მომავალსა. ყოველ საღამოს ვგრძნობდი, რომ ქალი თან-და-თან უფრო და უფრო მიზიდავდა. მეცხრე დღეს დილით, როცა „ბაბილონის“ ტირიფის ქვეშ გავიარე, უეცრივ ჩემ წინ ის დავინახე. პირველშივე თვალი არ მოუშორებია; მის თვალებში ამოვიკითხე საიდუმლო ამბავი, რომელიც აფითრებს ძლიერ ბუნებოვანთაც. რამდენიმე ზრდილობიან სიტყვის შემდეგ წამოწითლებული მიეფარა. გაუნძრევლად ვიდექი და ყურს ვუგდებდი ჩემ გულს, რომელიც ახლობელ ნაკადულზე უფრო ხმამაღლა მლანძღავდა და მეუბნებოდა „წასვლა უნდა დააჩქარო“-ვო.

მეც ძალიან პატიოსნურად გადავსწყვიტე ზეგისთვის წასვლა, მაგრამ მღრღნელმა დარდმა შემიპყრო და მაღრჩობდა.

ერთი საათის შემდეგ ჩემმა მასპინძელმა მინდვრები გადამატარა ნათხარის სანახავად, რომელშიაც მუშებმა ბრინჯაოს საუკუნეს აკლდამა აღმოეჩინათ. სახე დაღვრემილი და უკმაყოფილო ჰქონდა; ამან ცოტა არ იყოს შემაკრთო, რადგანაც გავიფიქრე, ეჭვის ნიშანია მეთქი. სიჩუმის შემდეგ უეცრივ წარმოსთქვა:

— ნუ გიკვირთ, რომ მე ცოტათი მოღუშული ვარ...—ფულის დატყუება უნდათ! მაგრამ ამას ვერ მოახერხებენ.

— აა!—უაზროდ წამოვიძახე...

იმას ისეთი წუთი მოსდგომოდა კარს, როდესაც ადამიანს თავ-შეუკავებელი მოთხოვნილება აქვს, თავის საიდუმლო გაუზიაროს ვისმე.

— სიჭაბუკის შემთხვევაა,—განაგრძო მან, ახალგაზდა მასწავლებელი ქალი შევაცდინე... რომელსაც ჩემგან შვილი ეყოლა!.. ოო, ცამეტი წელიწადი მეტია მას შემდეგ!.. ათიათასი ფრანკი გადავეცი ერთხელ და სამუდამოდ... გადაწყვეტით გვქონდა პირობა შეკრული, რომ მე თავის თავს აღარ მაცნობებს... რომ დაივიწყებს ჩემ სახელს, ჩემ არსებობას... დამპირდა, შემომფიცა! . და, აი, დღეს კი მწერს... დახმარებას მთხოვს... შანტაჟია! მაგრამ, გადავწყვიტე, არ დავყვე... თუ დამჭირდა, სასამართლოს მივმართავ...

— ბავშვი ისევ ცოცხალია?!—დავეკითხე განცვიფრებული იმის გულცივ კილოთი და სახის მხეცურის გამომეტყველებით.

— ჰეეე! ჰო, სთქვა... მაგრამ ეგ რაში მეკითხება? სადა მაქვს დრო, რომ მაგ სისულელეს თვალ-ყური ვადევნო?

და მრისხანედ წამოიძახა:

— თავიანთებურად ვერ ამამღერებენ!

წერილი გამომიწოდა; წუთით შევფერხდი; არ ვიცოდი წამეკითხა თუ არა; ის კი წინ წავიდა. აჰ, საცოდავი! რა დამცირებულის კილოთი, ამაღელვებელი და ადამიანურია ეს წერილი, მთლად მშობლიურის მწუხარებით არის სავსე. სულ უბრალო საქმეა: ათას ფრანკიან ბილეთს სთხოვენ ხუთმეტ მილიონის შეძლების პატრონს, ათას ფრანკიან

წავლებელთა დაჯილდოვების შესახებ უკვე სისრულეში იქმნა მოყვანილი: 14 ივნისს მასწავლებელთ დაურიგდათ ჯილდოები. ყველაზე მეტი ჯილდო მიიღო ს. გ. ყიფიანმა (610 მ.), შემდეგ ს. თ. ხუნდაძემ, (500 მან.) თ. ა. მთავრიშვილმა და ს. ნ. დათეშიძემ (თითომ 480 მ.) ქ-ნნთ ბ. ი. ვოლსკიმ და ნ. ბ. ხელთუფლიშვილმა და ბ-ნმა ი. ნიკოლეიშვილმა (325 მან.) ამას გარდა ბ-ნ ნიკოლეიშვილს სამზრუნველო კომიტეტმა მისცა კიდევ 150 მან. და სხ., ერთის სიტყვით, დაუჯილდოვებელი თითქმის არავინ დარჩენილა.

◆ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის ახალმა ზედამხედველმა კომიტეტმა აირჩია თავმჯდომარედ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე, ხოლო მის კანდიდატად თ. მ. გ. ფალავა.

რუსეთის ქრონიკა

◆ მთავრობამ შეიმუშავა ახალი წესი საზოგადო სასწორების გამართვისა ქალაქებისა და სოფლების სავაჭრო ადგილებში. ასეთი სასწორები უნდა გაიმართოს ბაზრებსა, იარმუკებსა და სხვა ადგილებში, სადაც ჰყიდიან პურს, ფქვილს, თესლს და სხვას. სასწორები უნდა გაიმართოს ქალაქისა და სამაზრო საერობო გამგეობათა განკარგულებით, ხოლო იქ, სადაც ერობა და საქალაქო დებულება არ არის შემოღებული, საგუბერნიო და საოლქო მთავრობის განკარგულებით. ინახება სასწორები ქალაქისა ან საერობო ხარჯით. შეიძლება ასეთის სასწორის გამართვა და მოხმარება მიენდოს კერძო კაცს. გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს ერთ კაპეიკს აწონილს ფუთზედ. ეს ახალი წესები თან და თან იქმნება შემოღებული 1903 წლის იანვრიდან დაწყებული ხუთის წლის განმავლობაში.

◆ ხაზინამ 1902 წლისათვის შინა-მრეწველობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გადასდო 116,776 მანეთი. ამავე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად 1903 წლიდან ყოველ წელიწადს გადაიდება 146,720 მანეთი. ამას გარდა ყოველ წელიწადსვე გადაიდება 13,280 მანეთი მიწათ-მოქმედების შინა-მრეწველობის მუზეის შესანახად.

◆ სახელმწიფო საბჭომ შეიწყნარა მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი, რომელიც შეეხება სარწყავ და ტბების ამოსაშრობ არხებისა და მილების გაყვანას სხვის ადგილებში. ახალ კანონ-პროექტით ეს საქმე განსაკუთრებულ საგუბერნიო კომიტეტის ხელში იქმნება. ამ კომიტეტმა უნდა სცნოს ხოლმე არხებისა და სხვა მოწყობილებათა გამართვის საჭიროება. კომიტეტის წევრებად თვითოეულ გუბერნიაში იქმნებიან წარმომადგენელნი ფინანსთა და მიწათ-მოქმედების სამინისტროებისა და საგუბერნიო ადმინისტრაციისა და გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლი.

◆ მთავრობას აზრადა აქვს გემებზედ მომუშავეთა სავალდებულო დაზღვევა შემოღოს. მომუშავე უნდა დაიზღვეს გემის პატრონისა და ხე-ტყის მწარმოებლის ხარჯით იმ შემთხვევისათვის, თუ ავადმყოფობა ან ძალად სიკვდილი მოელის.

◆ საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ ის ქალები, რომელნიც ვაჟთა სასწავლებლებში ასწავლიან, შტატში მყოფ მოსამსახურეებად არ ითვლებიანო.

◆ 11 ივნისს შეუდგნენ პეტერბურგის ქალაქის თვით მმართველობის საქმეთა რევიზიას, რევიზია მინდობილი აქვს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ზინოვიევს. უნდა დამთავრდეს რევიზია ორის თვის განმავლობაში.

პრესსა

„რუსსკ. ვედომ.“-მა აღძრეს საყურადღებო საკითხი იმის შესახებ, რომ სოფლის საზოგადოებათ აღეკრძალოს ადმინისტრატულის წესით საეჭვო ან მავნე პირების გადასახლება. მკითხველებმა იციან, ალბათ, რომ წინად გლეხთა საზოგადოებათ ამ მხრივ დიდი ძალა ჰქონდათ მინიჭებული: მათ შეეძლოთ ყრილობის განაჩენის ძალით სოფლიდან განეძევებინათ რომელიმე სოფლელი და აგრეთვე არ მიეღოთ უკანვე სოფელში გასამართლებული და სასჯელ-მოხდილი გლეხი. 1900 წელს გამოიცა კანონი, რომელმაც ეს უკანასკნელი უფლება წაართვა სოფელს, მაგრამ პირველი, ესე იგი, საეჭვო სოფლელების ადმინისტრატიული წესით გადასახლება, დღესაც შეადგენს სოფლის საზოგადოების უფლებას. ხსენებული გაზეთი საჭიროდ სთვლის ეს უფლებაც წაერთვას სოფელს. ამას იმიტომ სთვლის საჭიროდ, რომ სოფლის საზოგადოებანი ბოროტად ხმარობენ თავის უფლებას, უფრო ხშირად-კი სცდებიან განაჩენის შედგენის დროსაო.

> ყრილობის განაჩენიო, ამბობს გაზეთი, უფრო ხშირად სდგება მოწმეების გამოუკითხავად, საქმის გამოურკვეველად და ხანდახან თვით „ბრალდებულის“ გამოუკითხავადაც. კანონი თხოულობს მხოლოდ ერთად-ერთს: განაჩენი დაადგინოს ყრილობის ორმა მესამედმა; ხოლო გამოიძიეს საქმე, ჩამოართვეს თუ არა ჩვენება მოწმე-მოპასუხეს, ამაზე კანონი არას ამბობს. სენატმა ერთხელ განმარტა, რომ ყრილობა ვალდებულია დაწვრილებით აღნიშნოს ხოლმე სახელდობრ რა დანაშაული ჩაიდინა გლეხებმა ან რითი არი: საეჭვო გადასასახლებელი წევრი საზოგადოებისას მაგრამ ნამდვილად ასეთს დასაბუთებულს განაჩენს სოფლის საზოგადოებანი არ სწერენ; ასე რომ საზოგადოებათა განაჩენები არ არიან უზრუნველყოფილნი შეცდომისაგან და სიყალბისაგან.

სოფლის საზოგადოებათა ამ უფლებას ბევრი დამცველი ჰყავს. ბევრი იმ აზრისაა, რომ სოფლის ყრილობა იგივე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოა, სადაც საზოგადოებრივი სინიდისი იჩენს თავს და ძვირად შესცდება დანაშაულობის გამოცნობა-დაფასებაშიო. გაზეთი სამართლიანად ჰკიცხავს იმათ, ვისაც ასეთი შედარება სოფლის ყრილობისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსი სიმართლედ მიაჩნია.

> შემდარებელთ ავიწყდებათ, სწერს გაზეთი, რომ სასამართლოში ნაფიც-მსაჯულთა წინაშე გამოაშკარავდება საქმის მთელი გარემოება; იქ წაიკითხვენ გამოძიების შედეგს, მოწმეებს ჩვენებას ჩამოართმევენ, გამოკითხვენ ბრალდებულს, გაიგონებენ პროკურორისა და დამცველის სიტყვებს; ერთის სიტყვით, ყოველი მხრიდან გაიცნობენ საქმეს და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოათქმევინებენ მსაჯულთ განაჩენს. სოფლის ყრილობაზე ასეთს საბუთიანს გარჩევას საქმისას ადგილი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. მართალია, ადმინისტრაცია შემდეგ იხილავს სოფლის ყრილობის განაჩენს, მაგრამ, რადგან მას დასაბუთებულს არ წარმოუდგენენ, ადმინისტრაცია თითქმის ყოველთვის ამტკიცებს ამ განაჩენებს, ოღონდ ფორმა არ იყოს დარღვეული·

ერთის სიტყვითო, ამთავრებს გაზეთი, საიდანაც უნდა მოუაროთ საქმეს, დარწმუნდებით, რომ ყოველ სამართლიანობის და ჭეშმარიტების დათრგუნვაა სოფლის საზოგადოებისათვის ასეთის უფლების მინიჭებაო.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

პარასკევს, 14 ივნისს, სალამოს ცხრა საათზე, ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით, მოხდა საბჭოს საგანგებო კრება. კრებას წაეკითხა წერილები ელექტრონის ტრამვაის ამხანაგობასთან გამგეობის მიერ გაგზავნილი და ამ ამხანაგობისაგან საპასუხოდ მიღებული.

ქალაქის საბჭომ 5 ივნისის სხდომაზე გადასწყვიტა დაემტკიცებინა წყლისაყვანისა და ელექტრონის ტრამვაის ამხანაგობის გამგეობისაგან წარმოდგენილი პროექტი იმ ცვლილებითა და დამატებით, რომელიც ამხანაგობამ მიიღო, მხოლოდ ისე კი, რომ ამხანაგობა ვალდებული გახდეს საკმაო წყალი მიაწოდოს ყოველთვის ქალაქის ყოველ ნაწილს. თუ რომელსამე ადგილას წყალი დააკლდება, ამხანაგობამ მაშინვე ზომები უნდა მიიღოს. თუ ამხანაგობა ამას არ იკისრებს, იმ შემთხვევაში მისგან წარმოდგენილი პროექტიც დაუმტკიცებლად უნდა ჩაირიცხოს. აი, ამ გადაწყვეტილების პირი გაეგზავნა წყლისაყვანის ამხანაგობას. ამის პასუხად უკანასკნელმა წარმოუდგინა ქალაქს ვრცელი წერილი, რომელიც უარს აცხადებს დაუთმოს რამ ქალაქს იმის გარდა, რაც პირობაშია მოხსენებული, ამასთან სთხოვდა ქალაქის თავს 15 ივნისამდის მოეხდინა საბჭოს საგანგებო კრება 5 ივნისის გარდაწყვეტილების გასაუქმებლად და პროექტის დასამტკიცებლად. „თუ ამ ვადამდის ჩემი შუამდგომლობა სრულიად არ იქნება შეწყნარებული—განაგრძობს ამხანაგობის მმართველობა,—იმ შემთხვევაში პროექტის ის ნაწილი მაინც დაამტკიცეთ ეხლავე, რომელიც უთანხმოებას არ იწვევს, დანარჩენი სადავო კითხვების განხილვა გადადევით, მაგრამ ამ თვის დამლევამდეო“.

ამ პასუხმა საბჭო ძლიერ გააცხარა, განსაკუთრებით ბ-ნი დ. ა. ნაზაროვი, ვ. პ. კოკოჩაშვილი, ვ. ი. ქილაძე და ს. ქეიშვილი. უკანასკნელმა ისარგებლა ამ შემთხვევით და მათრახიც გადაჰკრა ქუთაისის ინტელიგენციასა და ახალგაზდობას, რომელიც ვაჭრებს სდევნის საბჭოდან, ქალაქის მცხოვრებთ პარტიებადა ჰყოფს და ისეთ საზოგადო საქმეს, როგორიცაა წყლის მილის გამოყვანა, საფრთხეში აგდებსო. „მე ინტელიგენციის ხმოსნობის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ...“ დაათავა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, თავმჯდომარის ზარმა დაათავებინა სიტყვა ბ-ნ ქეიშვილს. პირველი სამი ხმოსანი ამტკიცებდა, თუმცა პირობაში ცალკე მუხლი არ ამბობს იმას, რომ ქალაქის ყოველ ნაწილს ყოველთვის წყალი საკმაოდ ჰქონდეს, მაგრამ ეს მთელს პირობაში იგულისხმებაო. დიდის კამათის შემდეგ ხმის უმეტესობით გადასწყდა პროექტი დამტკიცებამდის განხილულ იქნას. პროექტის განსახილველად არჩეულ იქნა კომისია შემდეგ პირთაგან: თავმჯდომარე ქალაქის თავი დ. ა. ლორთქიფანიძე, წევრები: თ. პ. პ. თუმანიშვილი, დ. ბ. ხელთუფლიშვილი, დ. ნ. აბდუშელიშვილი, დ. კვირკელია, ა. ს. საყვარელიძე, ვ. პ. კოკოჩაშვილი. ამ კომისიამ 24 ივნისამდის უნდა განიხილოს პროექტი და წარუდგინოს საბჭოს თავისი მოსაზრება.

სხვა საგნებს შორის ყურადღება მიიქცია დამფასებელ კომისიის წევრებისა და მათის კანდიდატების არჩევამ.

ზოგიერთი იმ აზრისა იყო, რომ ეს საქმე საბჭოს განახლებამდის გადადებულიყო, მაგრამ თავმჯდომარემ მოახსენა საზოგადოებას, მთავრობა გვაიძულებს ეხლავე მოვახდინოთ სახლების ახალი დაფასებაო. ეს ჩვენთვისაც სასარგებლო იქნება, რადგან დავარწმუნებთ მთავრობას, რომ ახალი დაფასება ისეთ შემოსავლიან წყაროს არ აღმოგვიჩენს, როგორც იმასა ჰგონია, და, იქნება, მაშინ შეწყნარებული იქმნას ჩვენი შუამდგომლობანი, რომელზედაც ეხლა გადაჭრილ უარს გვეუბნებიანო.

ხმის უმეტესობით გადასწყდა ეხლავე არჩეულ იქმნენ კენჭის ყრით დამფასებელთა კომისიის წევრნი და მათი კანდიდატნი.

გამგეობამ დაასახელა წევრებად სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელნი ს. გ. ყიფიანი და თ. ა. მთავრიშვილი. დაასახელეს აგრეთვე ბ. ა. ასათიანი, ადგილობრივ ვაჭარი, და ჟანდარმთა პოლკოვნიკად ნამყოფი პ. ზ. ქორქაშვილი. კენჭის ყრის შედეგი ასეთი იყო:

ს. გ. ყიფიანმა მიიღო 13 თეთრი და 10 შავი, თ. ა. მთავრიშვილმა 16 თ.—7 შ., ბ. ა. ასათიანმა 17 თ.—6 შ., პ. ზ. ქორქაშვილმა 16 თ.—7 შ. რადგან ბ-ნთ მთავრიშვილმა და ქორქაშვილმა თანასწორად მიიღეს თეთრი და შავი კენჭები, თავმჯდომარემ წილი უყარა მათ; წილი ჰხვდა ბ-ნ მთავრიშვილს. ამგვარად არჩეულ იქმნენ თ. ა. მთავრიშვილი და ბ. ა. ასათიანი. შემდეგ აირჩიეს კანდიდატებად ბ-ნნი კაკაბაძე (12 თ.—10 შ.) და (ქურთოევი 13 თ.—9 შ.).

უკანასკნელი საქმე—არჩევა სარევიზიო კომისიის წევრებისა, რომელმაც უნდა განიხილოს ქალაქის გამგეობის 1900 წლის მოქმედება, თავ. კ, ბ. ლორთქიფანიძის წინადადებით გადადებულ იქმნა საბჭოს განახლებამდის.

დონ-ვალიანი.

დაბა-სოფლები

ს. სვირი. 14 ივნისს ადგილობრივ ორკლასიან სასწავლებლის მოსწავლეებმა სალიტერატურო დილა გამართეს. გარეშენი წერილებით მიიწვიეს, რის გამო ბევრნი დაესწრნენ დილას. მოსწავლენი მარჯვედ დაუხვდნენ სტუმრებს. თავიანთის სითამამით, ლექსების კოხტად კითხვითა და ცოცხალის გალობით ყველანი აღტაცებაში მოიყვანეს. ძალიან მოეწონათ სიმღერები, ლექსები, კოხტად მორთულ პატარა სცენაზე წარმოთქმული. უფრო კარგად შემდეგი ლექსები წაიკითხეს: ილოცე ბავშვო. იმერლის გულის ტკივილი (მესხისა), ჭირვეული თამადა და გლეხების საუბარი (აკაკისა). პატარა მასპინძლებს ფონოგრაფიც კი ეშოვნათ; გამართეს აგრეთვე ბუნდოვანი სურათები. დასასრულ ერთმა მოსწავლემ მთელის სასწავლებლის სახელით უღრმესი მადლობა გამოუცხადა დამსწრე საზოგადოებას დილაზე დასწრებისათვის. თავის მხრივ საზოგადოებამაც დიდი მადლობა უძღვნა როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს.

22 წელიწადია სკოლა არსებობს და ასეთი სალიტერატურო დილა პირველი მაგალითია იმის ისტორიაში. იმედი გვაქვს, რომ შემდეგშიაც არა ერთხელ გამართავენ ასეთ დილას.

თეთრლელე.

სოფ. ლეგი. ამ ბოლოს დროს ჩვენ მშვიდობიან მაზრაშიაც გამრავლდნენ ქურდ-ბაცაცები. სძარცვავენ ყველას, დიდსა და პატარას, მღვდელსა და ერის კაცს. პირველ მაისს სოფ. სომოწოდან დაბა ონში მიმავალ სკოლის მოსწავლეს დახვდა გზაში შეიარაღებული კაცი, რომელმაც წაართვა ყველაფერი: წიგნები და პატარა ძღვენი, რომელიც მამასთან მიჰქონდა. ერთის კვირის შემდეგ სოფელ ქორთაში ეკლესიისაკენ მიმავალ მღვდელს დაუხვდა რამდენიმე შეიარაღებულივე კაცი; წაართვეს ცხრა მანეთი და სადღაც მიიმალნენ. მაისის მიწურულებში დაბა ონიდან სამის ვერსის მანძილზე, ტყის პირად, ხუთმა უსახლმა გაძარცვა მეწვრილმანე ებრაელები.

წელს რაჭაში, განსაკუთრებით მთა ადგილებში, ხშირი წვიმებია. წვიმა-ნიაღვრებმა ღამის წაგვლეკონ. აღარც ხიდი გაგვაჩნია სადმე და აღარც გზა.

ერთი სასიამოვნო ამბავიც. სოფელ ღების საზოგადოებამ ერთ-ხმად დაადგინა დაარსოს ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი. საყურადღებოა, რომ ეს სოფელი დიდი წინააღმდეგი იყო სასწავლებლის დაარსებისა.

ნაყურელი ჯვრის ყანელი.

ბილეთს მისსავე ბავშვისთვის! გული შემიწუხდა. გამოუთქმელმა სიძულვილმა, რითიმე სამაგიეროს გარდახდის სურვილმა, საცოდავ დედისადმი უსაზღვრო სიბრალულმა შემიპყრეს, გამაფითრეს და გზის პირას შევჩერდი.

„მოთმინება!“—ვუთხარ ჩემ თავს და ჩვეულებრივი სახის გამომეტყველებით დავეწიე.

— აბა, სთქვა, მოიფიქრებდით ამას, ჰა?

— ცხოვრება უცნაურია!—ვუპასუხე სიტყვის ბანზე ასაგდებად.

— არაა?!

როცა მუშების ნაპოვნი აკლდამა დავათვალიერე, რაღაც მოვიმიზეზე და მახლობელ ფოსტის სადგურისკენ გავეშურე. იქიდან ფული გავუგზავნე საბრალო დედას და მივწერე, რომ შემდეგში წერილები ეგზავნა პარიზში იმ კაცის სახელზე, რომელსაც მე წერილში ვუსახელებდი; ამასთანავე ბოლოში მოვიხადე, რომ **უცნობის ხელით ვწერდი.**

შემდეგ დამშვიდებული დავბრუნდი სასახლეში. ჩემი მასპინძელი შუადღისთვის უნდა დაბრუნებულიყო.

III

სადარბაზო ოთახში ვიპოვე ახალგაზრდა დიასახლისი, რომელიც ამ დროს წიგნს კითხულობდა. ჩემ შესვლაზე გაწითლდა; ვიგრძენ, რომ მთლად გავფითრდი; შიშმა, ვაი თუ შევცდეო, აუტანლად ამაკანკალა; ორი წუთი სიჩუმეში დავყავით. შევატყე, რომ ისიც ფითრდებოდა. მაშინ მიახლოვება გავბედე; უეცრად ქალმა გაბედვით მითხრა:

— ცუდს ნურას იფიქრებთ ჩემზე... ერთ დღეს გეტყვით...

— იმისთანას ვერაფერს მეტყვით, რაც უკვე არ ვიცოდე... ვუთხარი... ვგრძნობ, ქმარს რომ პატივს სცემდეთ...

გაკვირვებულმა თავი დახარა; შემდეგ თვალები შემომაპყრო. წავიკითხე საიდუმლო ამბავი, რომელსაც ქალის მშვენიერი თვალები უამბობენ ხოლმე საყვარელს. უკვე ჩემი მთრთოლვარე ტუჩები მისას შევახე და სინიდისის უქეჯნავად ნეტარებას დავეწაფე...

ერთ თვეს დავრჩი გრაფის სასახლეში და ზაფხულის ბოლოს ისევ პარიზს დავუბრუნდი. ბედნიერი ვიყავ და მასთან სრულს კმაყოფილებას ვგრძნობდი, რომ გრაფს ვღალატობდი. ამასვე გრძნობდა მისი ღვთაებრივი მეუღლეც. ათ წელიწადს გასტანა ჩვენმა ბედნიერებამ და ამ დროს განმავლობაში ორივე ერთად ვპატრონობდით მის შვილს.

თრნი.

ქუთაისის საზნაურო სკოლის საკუთარი შენობის შესახებ

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ცნობის ფურცლის“ № 1834-ში წავიკითხე ბ. ვ. ახველდიანის წერილი, რომელიც გამოუწვევია ამავე გაზეთის № 1821-ში დაბეჭდილს ერთ ახალ ამბავთაგანს იმის შესახებ, რომ ქუთაისის სააზნაურო სკოლის სამზრუნველო კომიტეტს განუზრახავს ამ სკოლისათვის საკუთარი შენობის შეძენა. წერილის პატივცემული ავტორი მოუწოდებს ქუთაისის გუბერნიის შვილებს, წოდებისა და განათლების გაურჩევლად, და სთხოვს მათ ამ წლიდან დაწყებული სკოლის მომავალი შენობის ასაგებად თავის ჯამაგირიდან 1% გადასდონ. სწორედ კეთილი აზრია და დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ ის ჩვენს, ღარიბს, საზოგადოებაში თანაგრძნობას მოიპოვებს. მხოლოდ ის კი უნდა ვსთქვა, რომ ბ. ახვლედიანი კეთილ სურვილს ძლიერ გაუტაცებია და ჩვენი ბეჩავი სააზნაურო სკოლის გიმნაზიად—ისიც სახელმწიფო გიმნაზიების უფლებებით—გადაკეთება მოუსურვებია. აზრი, რასაკვირველია, დიდათ სიმპატიურია და მისი წინააღმდეგი ვინ იქნება, მაგრამ ჩვენი ჯიბე, საუბედუროდ, ამის ნებას არ გვაძლევს ჯერ-ჯერობით მაინც. ამიტომ, ჩემის ფიქრით, უკეთესი იქნება, ამაზე ზრუნვა მერმისათვის გადავდვათ და ეხლა კი ამ ოთხ-კლასიან სასწავლებელს მოუპოვოთ თავ-შესაფარი. ჩვენ არ შეგვიძლია, რომ ჩვენს ტფილისელ ძმებს წავბაძოთ და მათი სკოლის შენობისებური დავიწყოთ რამე.—ჩვენი ბანკის შემხედვარე ამას ვერ გავბედავთ,—მაგრამ რასაც გავაკეთებთ, ხეირიანი კი უნდა გავაკეთოთ, რომ შემდეგში სანანებლად არ გაგვიხდეს.

რაც შეეხება სკოლის შენობისათვის ადგილის ამორჩევას, მე მგონია, ამაზე ლაპარაკიც კი არაა საჭირო: ქუთაისი დასავლეთ საქართველოს ნამდვილი ისტორიული ცენტრია; იქნება ამავე დროს გეომეტრიული ცენტრი არ იყოს, მაგრამ ეს იმდენად საქმის დამაბრკოლებელი არ იქნება, რომ სხვა ადგილი ვეძიოთ შენობისათვის. რაც შეეხება იმას, ქუთაისის რომელ კუთხეში უნდა აიგოს შენობა, ამის შესახებ შემდეგი მოსაზრება უნდა მოგახსენოთ: ქუთაისიდან ნახევარი ვერსის მანძილზე მდებარეობს ქალაქის აგარაკი „საღორია“, რომელიც თავისი მდებარეობით და ჰავით საუკეთესო პირობებს წარმოადგენს სასკოლო შენობისათვის· ამ აგარაკს ქალაქი სახნავ-სათესად და სამოსახლოდ აძლევს იჯარით ხუთის წლის ვადით, მაგრამ, ხუთი წელი რომ გავა, ვინც ისურვებს, შეუძლია ახალი ვადით აიღოს ადგილი. ადგილის ბაჟი საზოგადოდ ძლიერ მცირეა; სკოლას—კი, მე მგონია, კიდევ უფრო ცოტას გადაახდევინებს ქალაქი. მასთან, თუ ოდესმე სკოლას ნივთიერი საშუალება გამოუჩნდება, შეიძლება კიდეც შეისყიდოს ადგილი უმაღლესი მთავრობის ნება-რთვით. რადგან ჩვენ ჯერ-ჯერობით საკუთარი ადგილის შეძენა ძლიერ გაგვიჭირდება, ამიტომ, ჩემის ფიქრით, ამ საშუალებას რომ მივმართოთ, ურიგო არ იქნება. გაბრიელის სახელზე გახსნილ ეპარქიალურ სასწავლებლის მახლობლად, სადაც ეხლა შენდება ბავშვთა თავ-შესაფარი, ქალაქს აქვს რვა ქცევამდე სრულიად თავისუფალი ადგილი, რომელსაც თავ-შესაფარის ეზო ჰყოფს ორ, თითქმის თანასწორ, ნაწილად; ამათგან ერთს ნახევარზე ქალაქი ბაღის გაშენებას აპირებს (паркъ), მეორე ნახევარი კი ან სამოსახლოდ გაიცემა, ან საყანედ. ქუჩის მდგომარეობას თუ იკითხავთ, მისთანას მე ქალაქის ეხლანდელი ბაღის (ბულვარის) გარშემო ვისურვებდი! ასე რომ, ეს ადგილი სწორედ ზედ გამოჭრილი იქნება სააზნაურო სკოლის შენობისათვის. თუ ოდესმე ჩვენს სკოლას სამეურნეო განყოფილება ეღირსა, ადგილიც საკმაო ექნება. იქნება, „ჯერ ბავშვი არ დაბადებულა და აბრამს არქმევდნენო“, სთქვას ვინმემ, მაგრამ შეუძლებელსაც შესაძლებლად ჰქმნის შრომა და ენერგია, რომელსაც, იმედია, გამოიჩენს ჩვენი სკოლის სამზრუნველო კომიტეტი.

დაბოლოს მე უნდა მოვუწოდო იმ პირთ, რომელთაც სააზნაურო-სკოლაში სწავლა მიუღიათ: იმ სკოლას, რომელსაც რვა წლის განმავლობაში მაინც თავის მკერდზედ უსასყიდლოდ უზრდიხარ და გონებრივ განვითარებას ზნეობრივადაც უწყრთნიხარ; სადაც სხვა საგნებს შენი დედა-ენაც დაუჩაგვრელად გვერდში უდგა; რომელმაც გაგიკაფა გზა უმაღლესი სწავლისაკენ; თუ ეს ვერ შესძლო, ლუკმა პური მაინც გაგიჩინა; მოვუწოდებ საზოგადოდ ყოველ ქართველს, რომ გულ-მხურვალება გამოიჩინოს ამ საშვილიშვილო საქმეში, კერძოთ კი ამ სკოლისაგან დავალებულთ: უმაღლეს სწავლა მიღებულთ, სამხედრო სამსახურში მყოფთ, აფთიაქის მოსამსახურეთ, გადამწერელთ და სხ., რომ ამათ მეტი შემწეობა აღმოუჩინონ მათ აღმზრდელ სკოლას. ჩემის მხრით, როგორც ამ სკოლის აღზრდილი, რომელსაც თუ რამ ადამიანური ღირსება შემრჩენია, მხოლოდ ამ სკოლის წყალობით, მოვალეთა ვსთვლი ჩემ თავს მეც შეძლების და-გვარად შევეწიო ამ კეთილ საქმეს. ყოველ წლიურად ამ საქმისათვის დიდი სიამოვნებით გადავდებ ჩემი ჯამაგირის 4%, რომელსაც, როდესაც მიბრძანებენ, დაუყოვნებლივ მიიღებენ საქმის მოთავენი, თუ გინდ ას წელსაც გაგრძელდეს სკოლის შენობის დამთავრება. თუმცა დიდ ჯამს კი არ შეადგენს ეს 4%, მაგრამ „სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების.“

დონ-ვალიანი.

უცხოეთის წვრილი ამბები

რადის სხივები და უსინათლონი. მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ ამ ერთის თუ ორის წლის წინად აღმოაჩინეს ახალი ლითონი რადი, რომლის სხივებსაც რენტგენის სხივების მაგვარი თვისება აქვთ. რადის სხივებს ისეთ ნივთიერებაში გავლა და განათება შეუძლიანთ, რომელსაც მზის სხივები ვერაფერს აკლებენ. ერთმა მეცნიერმა, პროფესორმა ჟავალმა, მოისურვა ამ სხივების გამოყენება უსინათლოთა თვალის ასახელად. უნდოდა გაეგო, უსინათლონი დაინახავენ თუ არა რადის სხივების სინათლეს. ამ აზრით ისა და მეორე მეცნიერი, კიური, შეუდგნენ ცდასა და კვლევას. აღმოჩნდა, რომ ის უსინათლონი, რომელთაც თვალის ნერვი გაფუჭებული არა აქვთ, და უსინათლობის მიზეზი სხვაა, მშვენივრად არჩევენ რადის სხივების სინათლეს. ერთმა უსინათლომ, მაგალითად, რომელსაც დაბადებისას ჩირქი გაუჩნდა, რის გამო თვალის გარსი გაუფუჭდა და დაბრმავდა, საუცხოვოდ დაინახა სინათლე, როდესაც რადის სხივებით გაანათეს იმისი თვალები. ამის შესახებ პროფ. ჟავალმა მოხსენება წაიკითხა პარიზის სამკურნალო აკადემიაში და იმედი გამოსთქვა, რომ რადის სხივების წყალობით ისეთის მანქანის გაკეთება შეიძლება, რომლის მეოხებითაც ამ გვარი უსინათლონი ყველაფერს დაინახავენო.

* *

პირუტყვთა წინადგრძნობა. შემჩნეულია, რომ პირუტყვებს წინადგრძნობა ძალიანა აქვთ განვითარებული. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ერთის კვირით ადრე, ვიდრე მარტინიკზე უბედურება მოხდებოდა, მსხვილ-ფეხა საქონელს საოცარი მოუსვენრობა დაეტყო თურმე. საქონელი ერთ ალაგას აღარა დგებოდა, ასე რომ იმისი დამაგრება საშინლად გაჭირდა. ასეთივე მოუსვენრობა დაეტყო ძაღლებს. გველებსაც ადრევე უგრძვნიათ უბედურების მოახლოვება. წინად პელეს მთა, საიდანაც ვულკანმა ამოხეთქა, სავსე იყო თურმე გველებით. მაგრამ ერთის კვირით ადრე უბედურებამდე გველები სადღაც გამქრალან და მიმალულან.

* *

სიცოცხლის დაზღვევა. სიცოცხლის დაზღვევა საოცრად ვრცელდება მთელ დედამიწაზე. რასაკვირველია, მდიდრები დიდ ფულში აზღვევენ თავიანთ თავს. ინგლისის მეფე ედუარდი, მაგალითად, 7,500,000 მანეთადაა დაზღვეული. უელსის პრინცი 5,000,000 მან. იტალიის განსვენებული მეფე ჰუმბერტო 15 მილიონ მანეთად იყო დაზღვეული. ჰუმბერტოს სიკვდილმა რამდენიმე საზოგადოების საქმეები შეარყია, ორი-სამი გააკოტრა კიდეც.

* *

2,000,000 მანეთად ღირებული კოლექცია პეპლებისა. ერთ ამერიკელს, დ—რს გერმან სტრეკერს ნიუ-იორკის მუზეუმისათვის უანდერძებია პეპლათა კოლექცია, რომელიც 2 მილიონი მანეთად ღირს თურმე. ამ კოლექციაში 250,000 სხვა-და-სხვა პეპელაა. ერთის პეპლის შეძენა სტრეკერს 16,000 მანეთად დასჯდომია. ეს პეპელა იშვიათი ეგზემპლიაზია, მოიპოვება იგი მხოლოდ სიერრა-ლეონეში, გვინეის ნაპირზე. ამ პეპლის დასაჭერად სტრეკერმა განსაკუთრებული ექსპედიცია შეადგინა და იმასთან ერთად მთელი ორი წელიწადი დაეძებდა იშვიათ პეპელას სიერრა-ლეონეში, ვიდრე არ დაიჭირა და დიდის ხარითა და ზეიმით უკან, შეერთებულ შტატებში არ დაბრუნდა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ივნისი

ნიკოლაევი. საკუთარის იახტით „თამარით“ აქ მოვიდა დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე. დიდმა მთავარმა ქალაქის თავისაგან პურ-მარილი მიიღო.

ვარშავა. გერმანიის რკინის გზებისა და კალიშის გზის გამგეობებს შორის მოლაპარაკებამ შეერთების შესახებ უნაყოფოდ ჩაიარა. სხდომათა ოქმები პეტერბურგში გაიგზავნა დიპლომატიის მეოხებით ამ საქმის გადასაწყვეტად.

მოსკოვი. დიდი ცეცხლი გაჩნდა წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში. დაიწვა კანკელი; ჩამოიქცა აღსავლის კარები და ბევრი ხატი გაფუჭდა.

ლონდონი. კრანბორმა აცნობა საზოგადოებათა პალატას პეკინში მყოფ რუსეთის ელჩის განცხადება; ელჩი აცხადებს, არ შემიძლიან მონაწილეობა მივიღო და სხვებთან ერთად წარვუდგინო ჩინეთს იმის მიერ დაწუნებული პირობანი ტიანძინის განთავისუფლების შესახებაო. ინდოეთის ელჩს მიენდო ზოგიერთ პირობის გაუქმება.

კონსტანტინეპოლი. ხედივი მოვიდა აქა.

ტვერი. დღეს გაიხსნა საეპარქიო სასტორიო-საარქეოლოგიო კომიტეტი.

ლონდონი. მეფე უფრო კარგად ჰგრძნობს თავს.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ 16 ივნისს ვარშავის რკინის გზის მე-106 ვერსზედ სახალხო მატარებელი № 24 დიანდაგს გადასცდა. მოკვდა კაჩუგარი ლაევსკი და მგზავრი დანენბერგი. მძიმედ დაშავდა გლეხი ეფიმოვი, მსუბუქად—გზათა ინსტიტუტის სტუდენტი გერნერი და პოლკოვნიკის ქალი მაშჩიხი.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 14 ივნისს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,10	
ბერლინზე 100 მარკაში	46,02½	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,75	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	96¾	მყიდვ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	98¾	„
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	465	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	356¾	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	287¼	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	85⅝	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	89¼	„
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	170	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპანისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადება

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თათრის მოედნიდან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

ტფილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37_{50} ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (ზანდრო).

ტელეფონი № 555. წლ.—6).

დ. ყვირილაში

ყანჩაველის სახლში მასწავლებელი

სერგეი ჯინჭველაშვილი

ოცი ივნისიდან **ასწავლის** ქართულ გალობას: წირვისა, ლოცვისა და მიცვალებულის წესებს ფ. ქორიძისა და კარბელაშვილის გადაღებულ ნოტების საშუალებით. ამზადებს აგრეთვე მოსწავლეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ განმეორებითი გამოცდა რუსულ-ქართულ გალობაში. (4—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

Дозволено цензурою Тифлисъ, 17 Іюня 1902 года.
ელექტრონით მბეჭდავი სტ.-მბ. წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.